სადაზღვევო ბროკერის სარეგისტრაციო დოკუმენტების ჩამონათვალი

1. შევსებული სარეგისტრაციო განცხადების ფორმა;

2. განმცხადებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია - *სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან) და წესდება, რომლის მიხედვითაც სუბიექტის საქმიანობად განსაზღვრულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა, როგორც ძირითადი სამეწარმეო საქმიანობა. კანონმდებლობით ნებადართული დამატებითი საქმიანობა, რომელსაც შესაძლებელია ითვალისწინებდეს სუბიექტის წესდება, დაკავშირებული უნდა იყოს მხოლოდ დაზღვევის სფეროსთან;*

3. საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები სამსახურის მიერ სადაზღვევო ბროკერისთვის დადგენილი კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობის დამფუძნებლების მიერ ფულადი ფორმით სრულად შევსების შესახებ;

4. საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები სამსახურის მიერ სადაზღვევო ბროკერისთვის დადგენილი კაპიტალის/საგარანტიო ფონდის შესაბამისი მინიმალური ოდენობის ფულადი სახსრების (30 000 ლარი) განცალკევებულ საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე განთავსების შესახებ;

5. მნიშნელოვანი წილის უშუალო მესაკუთრის/მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო დოკუმენტი/დოკუმენტები:
ა) იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

6. მნიშვნელოვანი წილის ბენეფიციარი მესაკუთრის/მესაკუთრეების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები;

მნიშნელოვანი წილის მფლობელის ბენეფიციარი მესაკუთრის არარსებობის შემთხვევაში აუცილებელია განმცხადებლის მიერ აღნიშნულის წერილობითი დადასტურება;

7. მნიშვნელოვანი წილის უშუალო მფლობელის მიერ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები/ინფორმაცია:
ა) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
ბ) ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი დეკლარაცია/დასტური მის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ.

8. ადმინისტრატორის/ადმინისტრატორების (სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, დირექტორის) საიდენტიფიკაციო დოკუმენტი/დოკუმენტები;

9. ადმინისტრატორის მიერ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტები/ინფორმაცია:

ა) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის - კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრების შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
გ) ავტობიოგრაფია (CV) კვალიფიკაციის და პროფესიული გამოცდილების დეტალური აღწერით;
დ) ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი დეკლარაცია/დასტური მის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ.

10. წერილობითი დასტური (განცხადება) იმის თაობაზე, რომ საშუამავლო საქმიანობის განხორციელების მიზნით განცალკევებულად აწარმოებს საკუთარ და კლიენტების ანგარიშებს და ამ ანგარიშების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან;

11. იმ უძრავი ქონების საკუთრების ან სხვაგვარად კანონიერად ფლობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც განთავსდება სადაზღვევო ბროკერის სათავო ოფისი ან ფილიალი (არსებობის შემთხვევაში).